მშრომელთა ყველა ქვეყნის, შეერთდით!

ქომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ნის და ცაკის ორგანო

№ 271 (5072) | კვირა, 28 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

მთელი ყურადღება საარჩევნო უბანს (მოწინავე)
კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიტინგი ამხანაგ **სტალინს**
ამხ. **ვ. მ. ბაძრაძის** გამოსვლები წინასაარჩევნო თათბირებზე ქუთაისში (მე-3 გვ.)
ამხ. **ს. ა. გოგლიძის** შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან (მე-3 გვ.)
მაუღის ფაბრიკის სტახანოველთა წინასაარჩევნო ვალდებულებანი (1-ლი გვ.)
ჩვენს სამშობლოს მეტი სპილენძი ესჭიროება („ბაკადის“ მოწინავე)
სპილენძის მრეწველობის მუშაკთა თათბირის მიმართთა სპილენძის მრეწველობის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს, ყველა მუშაკს. (მე-2 გვ.)
საბინაო კოოპერატივებისა და მასთან ამომრჩევლის ლიკვიდაციის და მეპაიეებთან ანგარიშსწორების ... (მე-4 გვ.)
უცხოეთში:
საომარი მოქმედება ჩინეთში (1-ლი გვ.)
ესპანეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა (1-ლი გვ.)

მთელი ყურადღება საარჩევნო უბანს

უდიდესი აღტყინებითა და აღფრთოვანებით ემზადებიან ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელნი 12 დეკემბრის დღისათვის—ამ ისტორიული დღისათვის, როდესაც საბჭოების ძმადვარი ქვეყნის მილიონობით მოქალაქენი თავის ხმებს მისცემენ სტალინის საუკეთესოთაგან საუკეთესო თანამებრძოლო, მის მოწაფეებსა და მის მიერ აღზრდილთ, სოციალისტური სამშობლოს ყველაზე ერთგულ და ღირსეულ ვაჟებსა და ქალიშვილებს.

ამომრჩეველთა ამქამად მიმდინარე კრებები წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და მორალური ერთიანობის მძლავრ და უბრწყინვალეს დემონსტრაციებს, საბჭოთა ხალხისა, რომელიც ერთიანია თავის სიყვარულსა და ერთგულებაში ბოლშევიკური პარტიისადმი, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, ბელადის, შეგობრისა და მასწავლებლისადმი — დიდი **სტალინისადმი.**

წინასაარჩევნო თათბირებზე და ამომრჩეველთა საუბნო კრებებზე, რომლებიც ამყარდა მთელ საქართველოში მიმდინარეობს, თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის საოცარ ათასი ამომრჩეველის მიტინგზე მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურენი, წითელარმიელნი, კოლმეურნენი ერთიანი აღფრთოვანებით მიმართავენ თავის გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს ამისადმი, ვისი სახელიც გახდა სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებების, ნათელი და სინარულით აღსავსე ცხოვრების სიმბოლო, — **ამხანაგ სტალინისადმი.**

ამ თათბირებზე, კრებებსა და მიტინგებზე მშრომელნი ერთსულოვნად მიესალმნენ ქართველი ხალხის ხელმძღვანელს—ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** კანდიდატურას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობისათვის.

ახლა დადგა საარჩევნო ჯამპანიის ყველაზე პასუხსაგები ეტაპი. არჩევნებისათვის მზადების მთელი მუშაობის სამმაგის ცენტრი საარჩევნო უბნებშია. აწარიგენ ამქარ ... ...

ფილიპე ესეს-ძე მახარაძე

**ამხ. ფ. ე. მახარაძის კანდიდატურა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე რეგისტრაციაში ბატარეიაზეა კავშირის საბჭოს არჩევნების სამმრე

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲔᲓᲔᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ლენინგორის საარჩევნო ოლქის № 561-ის მშრომელებმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამხრეთ – ოსეთის ავტონომიური ოლქიდან დაასახელეს ამხ. ვლადიმერ გედეონის-ძე ცხოვრებაშვილი.

ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილი შვიდი წლისა იყო, როდესაც მშობლები დაეხოცა. უსახლკარობის გამო ის იძულებული გახდა მიეტოვებინა სწავლა სასოფლო სკოლაში და მოჯამაგირედ წასულიყო.

1920 წელს, 15 წლისა, ამხ. ცხოვრებაშვილი მონაწილეობს მენშევიკების წინააღმდეგ შებრძოლ პარტიზანულ რაზმებში.

ერთი წლის შემდეგ იგი შედის ლენინური კომკავშირის რიგებში და უქმნა წლის განმავლობაში იმყოფება პასუხსაგებ კომკავშირულ სამუშაოზე.

1926 წლიდან ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი კომუნისტური პარტიის რიგებშია.

1927-დან 1932 წლამდე ამხ. ცხოვრებაშვილი ხელმძღვანელ პროფკავშირულ სამუშაოზე იყო.

1932-დან 1937 წლამდე ამხ. ცხოვრებაშვილი მუშაობდა ბორჯომის რაიონში — საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად.

წელს ამხ. ცხოვრებაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივნად.

ამგვარად ვლადიმერ გედეონის-ძე ცხოვრებაშვილი ასრულებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობას.

ამხ. ცხოვრებაშვილი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲞᲘᲤᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲔ

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის № 285-ის მშრომელებმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ფოთის-დან დაასახელეს ამხ. ა. ე. თოფურიძე.

ამხ. ა. ე. თოფურიძე დაიბადა 1902 წელს, ახალსენაკის მაზრის სოფ. გეჯეთის ოარიში გლეხის ოჯახში. 1920 წლის სექტემბერში იგი შედის კომკავშირის არალეგალურ ორგანიზაციაში.

1923 წ. ივლისში კომკავშირის აქტივის საოლქო კომიტეტმა ამხ. თოფურიძე სწავლისათვის გაგზავნა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-პოლიტიკური სკოლაში. ამ სკოლის კურსანტად ყოფნისას ამხ. თოფურიძე 1924 წელს მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატად. ხოლო 1925 წ. იანვარში გადაყვანილ იქნა საკ. კ. პ. (ბ) წევრად. სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. თოფურიძეს ეძლევა № ქართული ლეგიონის პოლიტნაწილ თანამდებობა.

1930 წელს ამხ. თოფურიძე ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ იქნა ფაშურ-ბულეხური წითელი არმიის რიგებიდან.

1930-დან 1932 წლამდე ამხ. თოფურიძე მუშაობს ფოთზეთში პასუხსაგებ პროფკავშირულ სამუშაოზე. 1933 და 1934 წლ. ამხ. თოფურიძე საკ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის სატრანსპორტო სექტორის გამგეა, ხოლო შემდეგ—კადრების განყოფილების გამგე.

1934 წლის აპრილიდან 1937 წ. თებერვლამდე ამხ. თოფურიძე მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივნის მოადგილედ, ხოლო შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორად და ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილედ.

ამა წლის ოქტომბრიდან ამხ. თოფურიძე მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა განყოფილების გამგედ.

ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲗᲝᲛᲐᲡ-ᲫᲔ ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ

კაშირის საბჭოს არჩევნების ფოთის საარჩევნო ოლქის № 503-ის მშრომელებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამხ. ლავრენტი თომას-ძე ჯანჯღავა.

ამხ. ჯანჯღავა დაბადებულია გეგეჭკორის (ყოფილი მარტვილის) რაიონის სოფ. ნახუნოვოში. 1919 წელს, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, იგი იძულებული გახდა მიეტოვებინა თბილისის გიმნაზია. შემდეგ მან დაამთავრა საერთო განათლების საღამოს კურსები და 1921 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავის სამშობლო სოფელში ბოლშევიკური საალაყებლო რაზმების მოწყობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე 1933 წლამდე ამხ. ჯანჯღავა მუშაობს პასუხსაგებ თანამდებობებზე სოჭარგრეთ კომისიის—სახელმწიფო პოლიტსამმართველოს — შინსახკომის ორგანოებში.

1933 წლის აპრილში საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხ. ჯანჯღავას ბაზარეთის სამეურნეო სამოქმედოდ. 1935 წლამდე ამხ. ჯანჯღავას ეჭირა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობანი, მუშაობდა რა სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების დარგში.

1935-დან 1937 წლამდე ამხ. ჯანჯღავა მუშაობდა ფოთში, სადაც იყო საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივნად. შემდეგ ამხ. ჯანჯღავა არჩეულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივნად, მუშაობდა საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისრის მოადგილედ, ამავამად კი მუშაობს კოლხიდმშენის უფროსად.

ამხ. ჯანჯღავა საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე არჩეულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრად.

ამხ. ჯანჯღავა დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, სამრეოლო იარაღით საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს კოლეგიისაგან, სამრეოლო იარაღით გაფრთიხილებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს კოლეგიისაგან და საქართველოს სსრ ცაკის სიგელით.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲘᲡ, ᲡᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲠᲜᲝᲑᲐᲨᲘ

ბორჩალი, 22 ნოემბერი (საქდეს). უკვე ბ ნდოდა, რომ ადგილებზე [illegible] ეროვნებათა საბჭოს კომეტ[illegible] ... საარჩევნო კრება.

1200 კოლმეურნე მოვიდა აქ დროშებით, ბელადების პორტრეტებით, წინასაარჩევნო ლოზუნგებით, პლაკატებით.

კრებაზე მოვიდა საკ. ალკუ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პეტრე თათნისეს-ძე ვერშვილი, რომლის კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე თბილისის —26 კომუნარის საარჩევნო ოლქი № 121 წამოაყენეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა.

კრება გახსნა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა ამხ. ხალილოვმა. უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ დამსწრენი გამოსული ამხანაგების სიტყვებს, რომლებიც ლაპარაკობდნენ ჩვენს ბედნიერ სამშობლოზე, პარტიაზე, ამხანაგ სტალინზე, რომლის ხელმძღვანელობით მოპოვებულია ისტორიული გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში. აღტაცებით უამბობდნენ ისინი შეკრებილთ თავის ბედნიერ შეძლებულ ცხოვრებაზე მალინინერ კოლმეურნეობაში.

— თავისუფალი ხალხის ღირსეულ შვილს, ლენინური კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილს—ამხ. ვერშკოვს,—ამბობს სტანანგველი კოლმეურნე ქალი ამხ. გიული ბაირამოვა,—ჩვენ, როგორც ერთი კაცი, მივცემთ ხმას.

— პეტრე თათნისეს-ძე ვერშკოვი ჩვენ წამოვაყენეთ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — ამბობს ჩინანი ამხ. ქერიმ რაგიმოღლი,—მოგიწოდებთ ერთსულოვნად მისცეთ ხმა მის კანდიდატურას.

მიტინგის მონაწილენი მჭუხარეტაშით შეხვდნენ ამხ. პ. ა. ვერშკოვის გამოსვლას.

— ამხანაგებო, უსაზღვრო სიხარულით მინდა გადმოგცეთ თქვენ, კოლმეურნეებს და კოლმეურნექალებს, ჩემი მადლობა იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩემს მიმართ, წამომაყენეთ რა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად,—დაიწყო თავიანი სიტყვა ამხ. ვერშკოვმა.—მე შევეცდები ეს მაღალი ნდობა და პატივი გავამართლო კონკრეტული საქმით, თავდადებული მუშაობით ბენნიერი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— 20 წელია,—განაგრძობს ამხ. ვერშკოვი,—არსებობს საბჭოთა ხელისუფლება. ამ მოკლე ხანში ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, გადაიქცა ძლავრ, მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ძველი რუსეთის უდაბური ადგილებზე შეიქმნა ათასობითი საწარმოები, რომელნიც, აღუფრთოვანი არიან რა მაღალი ტექნიკით, ამზადებენ ურთულეს მანქანებსა და მოწყობილობას. მძლავრი ტრაქტორები ხნავენ აყვავებულ საკოლეურნეო მინდვრებს, სწრაფად მკიან მოსავალს საბჭოთა კომბაინები.

ოთხალავი სკოლები, სანავარო სახლები და ბაგანი აშენდა სოფლებში, აოლებში. შეძლებული, ნათელი, სასიხარულო ცხოვრება აქვს ახლა საბჭოთა საკოლმეურნეო სოფელს.

შრომა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ღირსების, სახელის, სიმამაცისა და გმირობის საქმეც აქვა.

მამა-კაცის, გვერდით მხნედ მიაბიჯებს საბჭოეთის ქალიც ბედნიერი ქალი. ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გატარების სიფუძეულზე აყვავდა ძველი რუსეთის ყოფილი ელინინები. მშვიერი საქართველო მოწინავე რესპუბლიკების რიგებში ჩადგა.

ყოველიეგი ეს მიღწეულია თავისუფალი ხალხის შეუპოვარი შრომით, ხალხის, რომელიც მტკიცედ მიდის წინ ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

— თვითეული საბჭოთა მოქალაქისათვის არ არსებობს ღმაზე უფრო დიდი ბედნიერება და დიდი სიხარული, ვიდრე ის, რომ იცხოვრო და იმუშაო დიდ სტალინურ ეპოქაში—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ვერშკოვი.

— გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

— გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს და მასწავლებელს, დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ ლ. ბერიას!

კრება ხანგრძლივი ტაშის გრიალში ღიბულობს მისასალმებელ დეპეშას ამხანაგ სტალინისადმი.

○

ამავე დღეს, 22 ნოემბერს, დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა წინასაარჩევნო მიტინგი შოლავრის ბაბის საწმენდ ქარხანაში.

ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მხურვალედ მიესალმნენ ამხ. პეტრე თათნისასეს-ძე ვერშკოვს, რომელიც მათ წამოაყენეს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ

23 ნოემბერს, თელავში ჩამოვიდნენ თელავის საარჩევნო ოლქის მიერ წამოყენებულნი, უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, პროფესორი ნიკოლოზ ივანეს-ძე ფუსხელიძელი და მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელი. თელავის მშრომელნი აღფრთოვანებით შეეგებნენ თავის კანდიდატებს.

წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ჭიაურელი და ამხ. ფუსხელიშვილი, რომლებმაც ამომრჩევლებს აღუთქვეს, რომ მუდამ მედგრად იბრძოლებენ მშრომელთა საქმისათვის, ლენინ-სტალინის დიდი პარტიის საქმის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

ᲐᲠᲩ. ᲓᲐᲕᲗᲘᲐᲜᲘ

ᲐᲛᲮ. 3. Მ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲖᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 27 ნოემბერი (საქდესი). 27 ნოემბერს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კლუბში შესდგა წინასაარჩევნო თათბირი, რომელსაც დაესწრო 2000-ზე მეტი ამომრჩეველი.

თათბირის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ თავის კანდიდატს სსრ კავშირის უზენაესი **საბჭოს** დეპუტატობაზე — საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს **ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს**. მის გამოჩენას დარბაზში **ერთსულოვანი** ტაშით შეხვდნენ.

სიტყვას პირველი იღებს კომბინატის სტახანოველი-ქალი **ორდენოსანი** ამხ. სონა ხობოა. მან შეკრებილი მოუთხრო, თუ რა აღტყინებითა და აღფრთოვანებით ემზადებიან კომბინატის მუშები, მუშაქალები და სპეციალისტები **სსრ კავშირის** უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიული დღისათვის.

— ჩვენი კომბინატის ყველა საამქროსა და ბრიგადაში, — ამბობს ამხ. ხობოა, — მუშები ემზადებიან იმისათვის, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ 12 დეკემბრის დღეს.

— ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს ამხ. ვ. მ. ბაქრაძის კანდიდატურას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობაზე, — განაგრძობს ამხ. ხობოა. — ჩვენ ვიცნობთ და ვფიცავთ მას, **როგორც ლენინ-სტალინის** საქმის ერთგული, მტკიცე ხელმძღვანელს, შეურეველ მებრძოლს ხალხის საქმისათვის. ჩვენს ხმას მივცემთ ამხ. ვ. მ. ბაქრაძის ღირსეულ კანდიდატურას.

შემდეგ გამოსულმა სტახანოველმა ამხ. **რევაზ ფაცაცია, მომცელიძემ, ლიტვინენკომ**, ავრეთვე ინჟინერმა **გერასიმოვმა** ილაპარაკეს იმ გამარჯვებებსა და წარმატებებზე, რაც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა **ლენინ-სტალინის** პარტიის და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, ილაპარაკეს საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე, **რომელიც დიდი სტალინის** ერთგული მოწაფის ამხანაგ **ბერიას** ხელმძღვანელობით ჩადგა სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში. ჩვენი ქვეყნის მზოლოდ საუკეთესო ადამიანებს, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვრო ერთგულ ადამიანებს მისცემენ თავის ხმას კომბინატის მუშები, — ამბობდნენ ისინი. ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ამხ. ვ. მ. ბაქრაძის კანდიდატურას, მას მხურვალედ დაუჭირა მხარი კომბინატის ყველა მუშამ, ისინი თავის ხმას მისცემენ ამხ. **საჯაიასაც** — მტკიცე ბოლშევიკს, **ლენინ-სტალინის** საქმისათვის მებრძოლს.

შემდეგ, გამოვიდა ამხ. ვ. მ. ბაქრაძე, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ, თავის სიტყვაში ამხ. ბაქრაძემ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობის გამოცხადებისათვის. დაახასიათა რა ჩვენი ქვეყნის უდიდესი მონაპოვარნი, მიღწეული **დიდი სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით, ამხ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ იმყოფება რა 17 წლის განმავლობაში პარტიის რიგებში, ხდი მთელ თავის ენერგიასა და ცოდნას ახმარს **ლენინ-სტალინის** საქმისათვის ბრძოლას. შემდეგ ამხ. ბაქრაძემ ხაზი გაუსვა, რომ იგი მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით, რომლის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აყვავება, და რომელთაც გვიჩვენა პარტიისა და ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ნიმუშები. ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელს დარბაზი მჭუხარე ტაშით ხდება.

დასასრულ ამხ. ბაქრაძე არწმუნებს თავის ამომრჩეველებს, რომ არ დაზოგავს თავის ძალოვნეს და თვით სიცოცხლეს დიდი სამშობლოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

— გაუმარჯოს სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემქმნელს, ხალხთა ბელადს — დიდ **სტალინს!**

ამხ. ვ. მ. ბაქრაძის დასკვნითი სიტყვები მჭუხარე ტაშმა დაჰფარა.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. საჯაია, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს და სთქვა, რომ მთელ ძალოვნეს მოახმარს იმას, რათა გაამართლოს მისთვის გამოცხადებული მაღალი ნდობა.

თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ქუთაისის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდებს, მისცენ თავისი ხმები ამხ. ვ. მ. ბაქრაძისა და საჯაიას კანდიდატურებს. მიღებულ რეზოლუციაში კომბინატის მუშები კისრულობენ ვალდებულებას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე აღნიშნონ წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებით.

○

იმავე დღეს წითელი არმიის ქუთაისის სახლში შესდგა № დივიზიის მეომართა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა წინასაარჩევნო თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. **ონიანმა.**

შეკრებილნი ერთსულოვნად მიესალმნენ სსრ კავშირის უზენაესი **საბჭოს** დეპუტატად მათ მიერ წამოყენებული კანდიდატის ამხ. ვ. მ. ბაქრაძის გამოჩენას დარბაზში.

თათბირზე გამოვიდნენ ამხ. **მინდაძე, ხარაიძე, ხუციშვილი, მარდალეიშვილი, ამედაძე** და სხვ.

გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ იმ ენტუზიაზმზე, რომლითაც მეომრები, მეთაურები, პოლიტმუშაკები და მათი ოჯახის წევრები ემზადებიან არჩევნებისათვის. მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად № დივიზიის მეომრები ხმას მისცემენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისათვის საუკეთესო მებრძოლებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავისი ერთგულება მშრომელთა ინტერესებისადმი.

— ხალხის მტრები ცდილობდნენ წაერთმიათ ჩვენთვის უდიდესი მონაპოვარი, ჩაწერილი სტალინურ კონსტიტუციაში, — ამბობდნენ გამოსული ამხანაგები.—მათ სურდათ დაენგრიათ ის, რაც შექმნილია მშრომელთა ხელით, მონობის უღელი დაედგათ თავისუფალ საბჭოთა ხალხისთვის. მაგრამ მტრები, ისე როგორც ყოველთვის, მოსტყუვდნენ. ჩვენ არავის არ დავუთმობთ ჩვენს დიდ მონაპოვრებს. ჩვენი წითელი არმია ძლიერია როგორც არასოდეს. პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ჩვენ გამოვალთ, როგორც ერთი კაცი, და გავანადგურებთ მტერს მისსავე საკუთარ ტერიტორიაზე.

— სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები,—ამბობს ამხ. მინდაძე,—აჭეშმა დემონსტრაცია მთელი საბჭოთა ხალხის დარაზმულობისა პარტიისა და დიდი **სტალინის** გარშემო. ჩვენ, უძლეველი წითელი არმიის № დივიზიის მეომრები და მეთაურები, ჩვენს ხმებს მივცემთ იმას, ვინც სავსებით ღირსად მოგვაჩნია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატის მაღალი სახელწოდებისა— ამბ. ვ. მ. ბაქრაძეს.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ბაქრაძე, რომელსაც მთელი დარბაზი ტაშისცემით შეხვდა. მან არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მჭუხარე ოვაციებით დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინისა** და მისი ერთგული მოწაფის ამხანაგ **ლ. ბერიას** პატივისცემად.

○

იმავე დღეს ამხ. ბაქრაძე და საჯაია გამოვიდნენ წინასაარჩევნო თათბირზე № ლეგიონში, აგრეთვე ეროვნულ საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა, რწმუნებულთ პირთა, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა, პროფკავშირულთა და აგიტატორთა თათბირზე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ.Ს. Ა. ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘ, 27 ნოემბერი (საქდესი). 24 ნოემბერს ახალქალაქის რაიონის 500-ზე მეტი მშრომელი შეიკრიბა რაიონის წინასაარჩევნო თათბირზე.

თათბირი გახსნა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. სარქისოვმა.

ამხ. ჯიმლო ალიევმა (სოფ. ოკამის კოლმეურნეობა), პ. დავთიანმა (ტეს-ის ტრაქტორისტი), ა. ჩტრიანმა (ბასწავლებელი - ქალი), გ. ხაჩიანმა (სოფელ აბულის კოლმეურნე - ქალი) და სხვებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა კავშირის მთელი მრავალმილიონიანი ხალხი ემზადება 12 დეკემბრისათვის — სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს არჩევნების ისტორიული დღისათვის. სტალინურმა კონსტიტუციამ უაღრესად დემოკრატიული უფლებები მიანიჭა საბჭოთა ხალხს. არაფერი ამის მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — კიდევ უფრო აეწიოთ ჩვენი ბოლშევიკური სეფხეზლი, დაუნდობლად გამოვამეჭნიანოთ კოსმოპოლიტიზმი, ბუნებრივი ტროცკისტები, ბუხარინელები და საბჭოთა კავშირის ჯალალ მტრები.

11.340 ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲖᲔ

ადიგენის რაიონის სოფ. ბეჭარაში, ადიგენსა და მოხეში ჩატარდა ამომრჩეველთა წინასაარჩევნო მიტინგები, რომლებსაც სულ 11.340 ამომრჩეველი კოლმეურნე და ინდივიდუალური მეურნე დაესწრო.

მიტინგებზე ამომრჩეველები გაეცნენ ბორჯომის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიერ დასახელებულ კანდიდატებს—ამხ. ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუტიშვილს, რომელიც დასახელებულია კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, და ელ-ადმერ გიორგის-ძე დეკანოზოვს. რომელიც ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კახდიდატად არის დასახელებული.



ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საბინაო კოოპერაციისა და მათი კავშირების ლიკვიდაციის და მეპაიეებთან ანგარიშსწორების წესის შესახებ

სსრ კავშირის სანალოგო კომისარიათ საბჭომ დაადგინა შემდეგი წესი საბინაო კოოპერატივებისა და მათი კავშირების ლიკვიდაციისა, მათ მიერ ადგილობრივი საბჭოების, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის სახლების, აგარაკების, საწარმოებისა და ქონების გადაცემისა და მეპაიეებთან ანგარიშსწორებისა:

საბინაო კოოპერაციის სრულიად-საკავშირო საბჭოს ლიკვიდაცია უნდა დამთავრდეს 25 დეკემბრისათვის, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკათა **საბინაო კოოპერაციის კავშირების** ლიკვიდაცია—1937 წლის 20 დეკემბრისათვის.

საბინაო კოოპერაციის საოლქო და **სამხარეო კავშირების,** ავტონომიურ რესპუბლიკათა **საბინაო კოოპერაციის კავშირების,** საბინაო კოოპერაციის საქალაქო, სარაიონო და საგარაკო კავშირების ლიკვიდაცია უნდა დამთავრდეს 1937 წლის 15 დეკემბრისათვის. იგი ეკისრება ამ კავშირების გამგეობებს სათანადო აღმასკომების, სახკომსაბჭოებისა და საბჭოების წარმომადგენლთა მონაწილეობით. ამ კავშირების ლიკვიდაციის მსვლელობის კონტროლი და მეთვალყურეობა ეკისრებათ სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, სახკომსაბჭოებისა და საბჭოების წარმომადგენლებს, ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს. საბინაო კოოპერაციის კავშირების გამგეობანი ვალდებული არიან შეიდგინონ საბინაო კოოპერაციის ბალანსები 1937 წლის 1 ნოემბრისათვის და წარადგინონ ისინი 1937 წლის 10 დეკემბრისათვის ადგილობრივი საბჭოების, საწარმოებისა და დაწესებულებების, რომელთა ხელშიც გადადის სახლები და აგარაკები.

პირნი, მცხოვრებნი საბინაო კოოპერაციის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში რაც საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გადაეცემა, არ იქნებიან გამოსახლებულნი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების მე-31 მუხლის „ა“, „ბ“, და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ საფუძვლებზე, იმ პირთა გამოკლებისა, ვინც მიიღო საცხოვრებელი ფართობი შრომითს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იმ დაწესებულებებისა და საწარმოსაგან, რომლის გამგეობლობაშიც სახლი გადადგა.

საბინაო-საიჯარო ყოოპერატივების ლიკვიდაცია ეკისრებათ მათს გამგეობებს და უნდა დამთავრდეს 1937 წლის 15 დეკემბრისათვის. საბინაო - საიჯარო კოოპერატივების გამგეობანი ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 1937 წლის 10 დეკემბრისა წარადგინონ სალიკვიდაციო ბალანსი 1937 წლის 1 ნოემბრისათვის ადგილობრივი საბჭოების სანაწილო სამართველოთა განსახილველად. სალიკვიდაციო საბინაო-საიჯარო კოოპერატივების სახლები, ქონება და საქმეები გადაეცემა სახლების მმართველებს, რომლებსაც ნიშნავენ ადგილობრივი საბჭოების საბინაო სამმართველოები ან დაწესებულებანი, საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა ხელშიც სახლები გადადის. გადაცემა უნდა დამთავრდეს 1937 წლის 15 დეკემბრისათვის.

სალიკვიდაციო საბინაო-სამშენებლო და საბინაო-საიჯარო კოოპერატივებისა და მათი კავშირების სახლები, აგარაკები, საწარმოები და სხვა ქონება გადაეცემა აქტებითა და პასივით 1937 წლის 1 ნოემბრის ბალანსის მიხედვით. ამავე დროს გადაიცემა სალიკვიდაციო კოოპერატივებისა და მათი კავშირების საქმიანობის შესახებ ყველა საქმე, წიგნები, დოკუმენტები, ბეჭდები, შტამპები და სხვ. ჩაბარება - მიღება ხდება აქტების მიხედვით, რომელთა ხელისმოწერის შემდეგ სალიკვიდაცია დამთავრებულად ითვლება.

ადგილობრივი საბჭოებისათვის ან საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ყველა საქმისა და ქონების სრულ გადაცემამდე, მიმდინარე საქმეებისა და მეურნეობის გაძღოლა სათანადო საბინაო კოოპერატივებში და მათს კავშირებში ეკისრებათ მათს გამგეობებს მათი სრული პასუხისმგებლობით.

ადგილობრივი საბჭოები ვალდებული არიან არაუგვიანეს 1937 წლის 10 დეკემბრისა დაამთავრონ საბინაო სამმართველოთა ორგანიზაცია, სახლმფლობელობათა მოცულობის გამორკვევა და დანაშონ სახლების მმართველნი. საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები იმავე ვადისათვის უნდა მოემზადონ იმ სახლების მისაღებად, რომლებიც მათს ხელში გადადის.

მეპაიეებისათვის საპაიო შენატანთა დაბრუნება ეკისრებათ ადგილობრივ საბჭოებსა და სათანადო-საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ხელშიც სახლები და აგარაკები გადადის. საპაიო შენატანი არ დაიბრუნდებათ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის იმ წევრებს, რომელთა მაგიერად ეს შენატანი შეჭრილდათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა წყაროებიდან იქნა გადებული ეს შენატანი. საპაიო შენატანი პირველ რიგში უბრუნდებათ ჩაუსახლებელ მეპაიეებს, რომლებთან საბოლოო ანგარიშსწორება უნდა დამთავრდეს 6 თვის განმავლობაში, და მეორე რიგში—ჩასახლებულ მეპაიეებს, რომლებთანაც ანგარიშსწორება უნდა დამთავრდეს 1939 წლის 1 იანვრისათვის. კოოპერატივების ლიკვიდაციის დროს საპაიო დაგრეგვილთა ყველა სპეციალური ანგარიში იჯავშნება კომეფსაურ ბანკებში მეპაიეებთან ანგარიშის გასასწორებლად.

ადგილობრივი საბჭოები, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელნიც საბინაო კოოპერაციისაგან სახლებს ღებულობენ, ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ 1938 წლის ბიუჯეტსა და გეგმებში საჭირო სახსრები დასაბრუნებელ საპაიო დაგრეგვებათა მთლიანად და ვადაზე დასაფარავად.

(საკდისი).



შოთა რუსთაველის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ თამარ ბაბაკელიას მიერ. ფოტო რ. აკოფოვისა.

ბროშურები და პლაკატები საარჩევნო კამპანიისათვის

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით სახელგამმა და „ზარია ვოსტოკის“ გამომცემლობამ გამოუშვეს სერია მხატვრული პლაკატებისა და სერია ბროშურებისა ქართულ და რუსულ ენებზე — „ამომრჩევლის ბიბლიოთეკა“.

ამ სერიით ქართულ ენაზე უკვე გამოვიდა ბროშურა — „ორდენოსანი საბჭოთა საქართველო მოწინავე კულტურის ქვეყანაა“. რუსულ ენაზე გამოვიდა: „ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი“ და „სოციალისტური ხელოვნების აყვავება“. ამ ორი ბროშურის ბეჭდვა ქართულ ენაზეც მთავრდება. მხატვრული პლაკატები და ბროშურები სერიიდან „ამომრჩევლის ბიბლიოთეკა“ გასასყიდად გამოვიდა სახელგამის თბილისის მაღაზიებში, აგრეთვე იგზავნება რაიონებში.

საბჭოთა მუსიკის დეკადა

მეორე სიმფონიური კონცერტი

25 ნოემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში შესდგა საბჭოთა მუსიკის დეკადის მეორე სიმფონიური კონცერტი.

კონცერტის პირველი განყოფილება მთლიანად მიძღვნილი იყო კომპოზიტორ ფ. არაყიშვილის სიმფონიისათვის, რომელიც ჩინებულად შეასრულა ორკესტრმა ავტორის ხელმძღვანელობით. სიმფონია დაწერილია 1932 წელს. მას დიდი წარმატებით ასრულებდნენ 1935 წელს საქართველოში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში, ხოლო მომდინარე წელს თბილისში — მოსკოვს; შემდეგ იგი გამეორებულ იქნა თბილისში დ. ი. არაყიშვილის შემოქმედებითს საღამოზე.

მსმენელები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ავტორ-დირიჟორს. მეორე განყოფილებაში ორდენოსან შ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნა კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის საინტერესო კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრით და სუიტა ე. გოკიელის ქორეოგრაფიული პოემა „ვეფხის ტყაოსნიდან“: „ლილე“ (მზის ამოსვლა), „ოსტეფანესა და ავთანდილის ნადირობა“ და „მეფე მართა ცეკვა“. სოლისტად გამოვიდა პიანისტი ქალი მ. ევთიშვილი.

ორივე ნაწარმოებს დიდი წარმატება ჰქონდა.

კონცერტმა, რომელიც შესდგებოდა ნაციონალურ მოტივებისა და ქართული მუსიკალური ფოლკლორის საფუძველზე შექმნილი ნაწარმოებთაგან, დიდძალი მსმენელები მიიზიდა. დეკადის მორიგი კონცერტი შესდგება 1 დეკემბერს. იგი მიძღვნილი იქნება სომხური საბჭოთა მუსიკისადმი. (საქდისი).

ხელოვნება

„მეწყერი“

საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრმა ახალგაზრდა დრამატურგის მ. გოგიაშვილის პიესის — „მეწყერის“ დადგმით კარგი საქმე გააკეთა. ამ პიესაში ნაჩვენებია გმირული ბრძოლა, რომელიც გააჩაღეს გლეხებმა, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, თვითმპყრობელობის დასამხობად. პიესა ეშლება ამერიკის ბელმძღვანელობით, თვითმპყრობელობის ფარგლებში ტრადიციული ფორმით. ავტორი ეფუძნება ისტორიულ ფაქტებს 1905 წლის გმირულ ამბებს. პიესა დაიმზადა ახალგაზრდა მაყურებლის წარსული ყოფა-ცხოვრებისა და ბრძოლების შესწავლაში.

პიესა უფრო ეპიზოდურია. დრამატურგიულად იგი ვერ არის მტკიცედ შეკრული, მაგრამ სამაგიეროდ ცალკეული სცენები მხატვრული გემოვნებით არის გაკეთებული. კარგია სიტყვური მასალა, ავტორს მოზრეხებულად გამოუყენებია ხალხური-გამოთქმები და მოსწრებული სიტყვა-პასუხი.

პიესა თავიდან ბოლოამდე დიდის ინტერესით მიდის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დამდგმელის (გრ. სულიაშვილი) ზოგიერთი უხერხულ მიზანსცენებს. პირველი მოქმედების პირველ სურათში ბავშვები გადაპარებებულად დახტიან, გიმნაზიელის ქალები არ არიან დამაჯერებელნი, რაც მაყურებელზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. გადაჭარბებულია სამეფოლაში მეშუთბის სცენაც. ხშირად სპარბოლს ნატურალიზმი, რასაც არაეთთარი მხატვრული გამართლება არა აქვს.

სოფლელი რეგოლუციონერის ირაბის მნეფდელის როლი კარგად აქვს გაგებული მსახიობ ალ. მამრიაშვილს. ბუნებრივად თამაშობს გაბო ბოჭორიშვილი რეგოლუციონერ ბეკინის როლს. ასევე კარგები არიან ეკიეფიდან მსახიობები: ასათიანი, ი. ტურაშვილი, ახვლედიანი და სხვ. ქალების როლი ამ პიესაში საერთოდ მკრთალია. მოუხდენელ ამისა, მოზდენილად თამაშობდა მსახიობი თამარ კანდელაკი (ჩინარა). კარგი იყო ეუფუნის როლში შ. კარკატაძე.

„მეწყერის“ დადგმით მუშა-ახალგაზრდობის თეატრმა შესძინა თავისი მნიშვნელოვანი მაყურებლისათვის ულამესი სპექტაკლის მიწოდება. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლისა, „მეწყერი“ თეატრის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

ქ. ფოლიშვილი

„აჭარის მთებში“

მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი დასადგმელად ამზადებს გრ. ბერძენიშვილის პიესას „აჭარის მთებში“.

პიესის თემაა საბჭოთა პატრიოტიზმი, დივერსანტებთან ბრძოლა აჭარაში.

„აჭარის მთებში“ წაიკითხეს

დამდეგს, პიესას დგამს რეჟისორი ბ. გამრეკელი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დ. თავაძეს.

მთავარ როლებს ასრულებენ ვ. კუპარაშვილი, თ. თვალიაშვილი, ვ. არეშიძე, ა. კაკაჯაშვილი, ა. ღვინაშვილი და სხვ.

კრებები და მოხსენებები

● 28 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. სახ. სიჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზში პროფ. ალ. ბარამიძე გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „ვეფხის-ტყაოსნის ტიპაჟი“.

შესვლა თავისუფალია.

● 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში შესდგება ლექცია თემაზე: „რუსთაველის ეპოქა, ფილოსოფიური აზროვნება და მეცნიერება“.

ლექციას წაიკითხავს რუსთაველის ინსტიტუტის მეც. მუშაკი ჰ. ცინაძე. დასწრება თავისუფალია.

დაიწყო ნაძვის ხის ბაზრობა

ბრბასოდენა ბაზარ — ბაზარ. ტროტუარზე, ტროლეიბუსებზე ბავშვები, ბებიები, ბიძიები ბაზრობიდან ბაზრობისკენ მიმავალ ადამიანებს ნაძვის ხეს.

თბილისის საბავშვო ორგანიზაციები: საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაღები, სკოლები და სხვ. უკვე შეუდგნენ სამზადისს ნაძვის ხის მოწყობისათვის.

თბილისის ცენტრალურმა საბავშვო უნივერსალურმა მაღაზიამ ნაძვის ხის ბაზრობისათვის ამ დღეებში მიიღო დიდძალი სათამაშოები: თოვლის ბაბუები, ფერადი ლამფები, ნაღები, პატარა ბუმბები, წიგნები, საათები, დაირა, თოფები, თეფშები, სპილოები, კურდღლები, სხვადასხვა ფრინველები და სხვ.

უახლოეს დღეებში მოელინ კიდევ ახალ სათამაშოებს.

სასამართლო

240.000 მანეთის გაფლანგვა

— რას ჩამოგიყრიათ ყურებში! ეს ჰალოგორთან ზონ ხედეთი, სეფრას ჩიტის რეტე არ აკლია, ბაბ, მეგაბრონეკ, დიდყა შენებურად, — რიხით ამბობდა ახალი თანამდებობით ალტაციანელ ალეკსანდრე ქოჯაია და ხელში ორკვარტალ ყანწს ატრიალებდა.

— ეგეთო, ეგეთო ბიეეები, რა ეკონალეგიდთ, თქვენი ფეული ზონ არ იხარჯება— სასადილოში ანგარიშის გასწორების ალეკსანდრე ქოჯაიას ეკრიანენ დასაწყებდა, დასტა - დასტად დაჭერნდა ფული და ძმაბიეეზეთან პერპარიალში ალრჩობოდა, ეს იყო გასული წლის მარტში. ქოჯაიამ თავენეთის რაიონში დამამზადებლის კარიერი ქეიფით დიწყო. ეს ამ თანამედროობაზე „ობლიკეგეგეჯრობის“ ტკბილოლოდებში დინიშნეს და დიდძალი ფული ჩაეყარეს ხელში. მგელს ფარა მიანდვეს.

ქოჯაიამ მარიფათი გამოიჩინა, შეაჭმევა დაწესებულება — „დამზადების ბუჩქები“. ივიყენა თანამშრომეობად ეასილი ალეკსანდრეს და პეტრ ტატიანოვი. ყველფერი საათივით მიეწყო, ქოჯაია ძიეენდა მსგავლ და წვრილფეხა საქონელს, ჯეზვინეფ მეხეთეში, ხოლო ალეფდან თბილისში. 40 კილოიან ცხვარს რომ იყიდიდა, 80 კილოს ანგარიშს შეადგენდა და ისე უეზვინიდა „ობლიკეგეგეჯრობას“, სადაც ყალთ ანგარიშეს. კოტროლს არაეინ უწევდა. ამიტ ბეთამაშეეზეთი ქოჯაიაც ყალთა სახეთეზის მორეეში ცუროადა. არ სწონდეფ შეძენილ საკონელს. ერთს ეშმაკერად შეხედავდ ცხვარს, კაბეს ან ღორს და იტყოდა, ესადეეს პირტეყეი ამფენი და ამფენი კილოო. საწყობის გამგეს ტატიანოსაც ეჯერეოდა ეს და ხელს აწერდა ანგარიშზე. სინამდვილეში კი საქონელი წონით ამისი ხანეეეთიც არ იყო, რასაც საბუთებში აწერდნენ.

ქოჯაიამ შეთავსებით სამეზეე ქარხნის დირეკტორიც იყო. ფუთობით ეგზეინდა ნაცარამ-ეეგობრეს ძეზეს. კერძო ბაზარზეე ჯაოდეფ მაა, რას გაბო ქარხანაშ 63 ათასი მანეთი ეზარალა.

ქოჯაია დაამატებრეს, როგორც გამოირკვა, მას რამდენიმე თვეში 240 ათასი მანეთი გაუფლანგავს. საქ. რესპუბლიკის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა შ. დიდიხოშვილმა ქოჯაიას „საქმენი საგმირონი“ დაწერილებით გამოიძია და ბრალდებული ამ დღეებში წარსდგება უზენაეს სასამართლოს წინაშე.

ძ. ზიკაძე

სარედაქციო კოლეგია.

შაქრის ჭარხალი მინდორში დასჯოვეს

ხაშურის რაიონს წელს შაქრის ჭარხალი მთელ ფართობზე, ანუ 2932 ჰექტარზე, ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის უნდა აეღო. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებული ვადა დიდიხანია ამოწურა, გეგმები ჯერ კიდევ შეუსრულებელია —მინდორში აუღებელია 17,5 ჰექტარი ჭარხალი და გადაუზიდავი უკვე ამოღებული 6.450 ცენტნერი მოსავალი. მიწვანის (ვამგე სევ. ბრეგვაძე) და მთელ რიგ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობის შედეგად გაშიგნურდა როგორც ნედლეულის ამოღების, ისე მისი დროულად გადაზიდვის საქმე. სანეგელი (თავმჯდომარე მ. ცხოვრებაშვილი), გალგანი (სთანშვილი), ვეფხვკარი პირველი (შ. ნაზგაიძე), ქვენტაკოცა (თურმანიძე), წერონისი (თედორაშვილი), ხიდისყური და ზემო-მიწობა — ეს ის კოლმეურნეობებია, რომელთა ხელმძღვანელნი არ აღებენ გადამჭრელ ზომებს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

წერონისის კოლმეურნეობაში უპასუხისმგებლობა იქამდეც მივიდა, რომ 31 ჰექტარზე ნათესი შაქრის ჭარხლიდან, ნაცვლად გეგმით ვალდებულებისა 3.300 ცენტნერისა, ჰექტარს მხოლოდ 1.255 ცენტნერი ჩაბარეს, დანარჩენის დასაცავად არ მიიღეს საჭირო ზომები. ამით ისარგებლეს კოლმეურნეობის მტრებმა და ჭარხალი დაიტაცეს. აღსანიშნავია, რომ ამ მდგომარეობისათვის დროზე არ მოექცეთა ყურადღება სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს გ. გოგიჩაიშვილს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში რაიონული ორგანიზაციები ჩაერევნენ, სხვადასხვა ადგილებზე აღმოჩაჩინეს გადამალული 300 ცენტნერამდე მოსავალი.

— როგორია მდგომარეობა ადგილებზე, რა ზომებს იღებთ ჩამორჩენის დაჩქარებით გამოსასწორებლად? —ეკითხებით მიწვანის გამგეს სევ. ბრეგვაძეს და უფრ. ბერონოს კ. ბერეზულიძეს. — ჭარხალს არ დავტოვებთ, გეგმას უთუოდ შევასრულებთო — გვეპასუხებს მათ. ნამდვილად კი ამ დროისათვის მარტო ზემო - მიწობის კოლმეურნეობაში ჭარხალი აუღებელი იყო 6 ჰექტარზე, ხოლო რაიონში 517.000 ცენტნერის ნაცვლად ჭარხალი ჩაბარებული ჰქონდათ მხოლოდ 448.094 ცენტნერი.

ტ. თ.

ლექციები რადიოთი

დაუსწრებელი პარტსწავლების ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება დეკემბრის განმავლობაში გადასცემს შემდეგ რადიო-ლექციებს:

1 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ორგანიზებულ რადიომსმენელთა და პარტსტორიის მესაგნეთათვის გადაცემული იქნება რუსულ ენაზე ვოლინის ლექცია თემაზე: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა და პარტიის შიგნით ბოლშევიკთა და მენშევიკთა ფრაქციების წარმოშობა“ (1901—1904 წ. წ.) —ლექცია პირველი.

3 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, იმავე მსმენელთათვის ქართულ ენაზე გადაცემული იქნება მეორე ლექცია იმავე თემაზე.

7 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ორგანიზებულ რადიომსმენელთა და ლენინიზმის მესაგნეთათვის ქართულ ენაზე გადაცემული იქნება კამარის ლექცია თემაზე: „ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმია“.

9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ორგანიზებულ რადიომსმენელთა და პარტსტორიის მესაგნეთათვის რუსულ ენაზე გადასცემენ ვოლინის ლექციას თემაზე: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა და პარტიის შიგნით ბოლშევიკთა და მენშევიკთა ფრაქციების წარმოშობა“ (1901—1904 წ. წ.)—ლექცია მეორე.

11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ორგანიზებულ რადიომსმენელთა და პარტსტორიის მესაგნეთათვის ქართულ ენაზე გადაცემული იქნება იაროსლავსკის ლექცია „მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (1904-1907 წ. წ.)—ლექცია პირველი.

13 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ორგანიზებულ მსმენელთა და საკოლმეურნეო აქტივის კურსებისათვის ქართულ ენაზე გადასცემენ კარპინსკის ლექციას: „როგორ გიმარჯვეს საბჭოთა სოფელში საკოლმეურნეო სოციალისტურმა წყობილებამ“.

15 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სსრ კავშირის ისტორიის ორგანიზებულ მსმენელთათვის ქართულ ენაზე გადაცემული იქნება შუტკოვის ლექცია თემაზე: „ჩვენი სამშობლო. ორიგინალ. წარსული“.

17 და 19 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ორგანიზებულ რადიომსმენელთა და პარტსტორიის მესაგნეთათვის გადაცემული იქნება 17 დეკემბერს რუსულად, ხოლო 19 დეკემბერს ქართულად იაროსლავსკის ლექცია თემაზე: „ენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (1904—1907 წ. წ.). 17 დეკემბერს გადაეცემული იქნება პირველი ლექცია, ხოლო 19 დეკემბერს—მეორე.

21 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ორგანიზებულ რადიომსმენელთა და ლენინიზმის მესაგნეთათვის ქართულ ენაზე გადასცემენ ვორონოვის ლექციას—„მეთოდი და თეორია“.

23 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სსრ კავშირის ისტორიის ორგანიზებულ მსმენელთათვის ქართულ ენაზე გადაცემული იქნება შუტკოვის ლექცია თემაზე: „ჟიეკის სახელმწიფო“.

25 და 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ორგანიზებულ რადიომსმენელთათვის და პარტსტორიის მესაგნეთათვის გადასცემენ 25 დეკემბერს რუსულად, ხოლო 27 დეკემბერს ქართულად იაროსლავსკის ლექციას: „ენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (1904—1907 წ. წ.). 25 დეკემბერს გადაცემული იქნება მეორე ლექცია, ხოლო 27 დეკემბერს—მესამე.

29 დეკემბერს გადაცემული იქნება ლექცია ორგანიზებულ რადიომსმენელთა და საკოლმეურნეო აქტივის კურსებისათვის. ლექციის თემა გამოცხადდება.

თბილისის ზ. ჰ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

28/XI	მუდმ. ადგ. ტალ. № 32 ერთდრ. ბილეთის სერია № 4 **დაისი**
29/XI	მუდმ. ადგ. ტალ. № 33 ერთდრ. ბილეთის სერია № 5 **ქარმენ**
30/XI	მუდმ. ადგ. ტალონი № 34 **ჯრუჯადური**

დასაწყისი 8 საათზე.
ერთდროულ ბილეთების ყველა სერიის მოსმაზე გადასასვლელი უნდა იყოს დაფარული პირველ დეკემბრამდე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1937—38 წ. სეზონი

28/XI	წარმოდგენა 40. **გმირთა თაობა**
29/XI	წარმოდგენა 41. **გმირთა თაობა**
30/XI	წარმოდგენა 42. **ალკაზარ**

სალარო ღია 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

28/XI წარმ. № 41	**ფიგარო ქორწინება**
29/XI წარმ. № 42	**სამანიშვილის ღელინავალი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღია დილის 12 ს. საღ. 9 საათ

სახსრიკი. ტელ. 3-11-44
28 ნოემბერს
პრემიერამის შეშალა
10—ახალი ნოემბერი—10
ს. ფაფრიკე თავისი ყოველთანარი ცხოველებითა და ფრინველებით.
არტ. **დაფანტენის** ჯგუფი, არტ. ვიოლეტა, არტ. **რაიტი,** არტ. **ხარონი,** არტ. **ლიდანა,** არტ. **კორეფენეკენი,** არტ. **ორლოფი.** დამსახ. არტ. **ფ. ტანტეი**— უკანასკნელი დღეები და მოელი დასი.
დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო ღია 12—2 ს. და 5 საათიდან.

საქ. მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის ტანთსაცმლის საგამომგზავნო ფაბრიკის ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი — პასივი

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა	№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	876	1	საწესდებო ფონდი	12022
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	50	2	საპენსიო ფონდები	827
3	მარაგი მასალების, ნედლეულის და სათბობის	11539	3	რეზერვები	28
4	სამკნელი, მზა ნაწარმი	2959	4	მოკლევადიანი კრედიტები	1500
5	ფუფადი საშუალებანი	2059	5	ანგარიშსწორებანი	3166
6	ანგარიშსწორებანი	2141	6	საანგარიშო წლის დაგროვებანი	2413
7	მომავალი პერიოდის ხარჯები	3			
8	განფენილი საშუალებანი	829			
	ბალანსი	19956		ბალანსი	19956

დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1. სხვა დანაკარგები	52	1. დაგროვებანი საკონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით	2267
		2. სხვა დაგროვებანი	198
დაგროვების სალდო	2413	დანაკარგების სალდო	—
ბალანსი	2465	ბალანსი	2465

მთავ. ბუღალტერი **კარაკაშვილი.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ დანებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1245 საქ. ადგ. მრეწველობის სახკომ. საბუხბალტერო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

ქუთაისის აგრეშუშის კომბინატის ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისთვის (ათას მანეთებში)

აქტივი — პასივი

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა	№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	5277,2	1	საწესდებო ფონდი	8041,0
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	759,0	2	საპენსიო ფონდები	45,7
3	მარაგი მასალებისა, ნედლეულისა და სათბობისა	4603,6	3	რეზერვები	13,1
4	ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება	1140.1	4	მოკლევადიანი კრედიტები	5590.1
5	სამკნელი, მზანაწარმი	1981 6	5	ანგარიშსწორებანი	1677,2
6	გასაყიდად გამოყოფილი საგნები	80,8	6	შინასაბალანსო ანგარიშსწორება	660.3
7	ფუფადი საშუალებანი	111,7			
8	ანგარიშსწორებანი	657,0			
9	მომავალი პერიოდის ხარჯები	66,9			
10	შინასაბალანსო ანგარიშსწორებანი	193,2			
11	სახგაირიცხვები წლის დასაკარგები	1156,3			
	ბალანსი	16027,4		ბალანსი	16027,4

დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1. ზარალი საკონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით	927,7	1. სხვადასხვა დაგროვებანი	17,9
2. სხვა დანაკარგები	246,5		
დაგროვების სალდო	—	დანაკარგების სალდო	1156,3
ბალანსი	1174,2	ბალანსი	1174,2

მთავარი ბუღალტერი **ანდღელიანი.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ დანებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1229 საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ. საბუხბალტერო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

მისამართი: რედაქციისა—თბილისი, ინ, რუსთაველის პრსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პრსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, გაგზავნილებებისა: პარტიული—3—57—61, სასოფლოსამეურნეოს — 3—73—40, მეწარმეთა ფაქტებისა—3—73— 24, პ.-მზ. მოარიგება—3—26—67, გამომცემლობისა—3—51—81, სტამბის დირექტორისა—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამზ. ს. თოდრიის სახ. სტამბა „კომუნისტი“, ვაჟის ქ. № 68. ტირაჟი 45524